ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №21

ქალაქი ქუთაისი

8 ნოემბერი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერების დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
5. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;
6. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
7. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
8. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
9. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
11. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
12. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
13. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
14. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 14, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 8 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.
გიგა ხარებავა - GEPRA წარმომადგენელი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

21-ე სხდომა

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. გარემოსდაცვითი მიმართულებით მიმდინარე საკითხები - მომხსენებელი, დავით სინაურიძე;
4. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში - მომხსენებელი, ვიცე-მერი ნინო თვალთვაძე;
5. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში, რომელიც რატიფიცირებულ იქნა ქუთაისის მერიის მიერ - მომხსენებელი, ნინო თვალთვაძე;
6. 2020 წლისთვის ინიციატივების შეფასების წესის განხილვა - მომხსენებელი GEPRA-ს წარმომადგენელი - გიგა ხარებავა.
7. სხვადასხვა.
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. გარემოსდაცვითი მიმართულებით მიმდინარე საკითხები - მომხსენებელი, დავით სინაურიძე;

დავით სინაურიძე - მიმდინარეობს გარემოსდაცვით სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა და ელოდებიან რამდენიმე ექსპერტისგან უკუკავშირს. გეგმავენ ექსპერტთა მცირე ჯგუფთან შეხვედრას და საკითხების გავლას. საბჭოს მომდევნო სხდომაზე გარემოსდაცვითი სტრატეგიის შესწორებულ ვერსიას წარადგენენ.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, თემურ ამყოლაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ქრისტინე მიქაძე, ლია გვენეტაძე .

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 14 წევრი

მომხრე: 14 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი.

დადგინდა:

ერთი კვირის განმავლობაში მერიის შესაბამისმა სამსახურმა ექპერტების ჩართულობით შეიმუშავოს და წარმოადგინოს გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტის კორექტირებული ვერსია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

2. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში - მომხსენებელი, ვიცე-მერი ნინო თვალთვაძე;

ნინო თვალთვაძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ოქმებში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით ისაუბრა და გაუზიარა საბჭოს წევრებს, საბჭოს რეკომენდაციაზე მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. დაპირდა საბჭოს, რომ პერიოდულად გააკეთებს მოხსენებას მერიის მიერ საბჭოს რეკომენდაციებზე განხორციელებული და მიმდინარე რეაგირების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, თემურ ამყოლაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ქრისტინე მიქაძე, ლია გვენეტაძე .

საბჭომ ვიცე-მერის წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

3. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში, რომელიც რატიფიცირებულ იქნა ქუთაისის მერიის მიერ - მომხსენებელი, ნინო თვალთვაძე;

აღნიშნული საკითხი გადაიდო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

4. 2020 წლისთვის ინიციატივების შეფასების წესის განხილვა - მომხსენებელი GEPRA-ს წარმომადგენელი - გიგა ხარებავა.

გიგა ხარებავა (GEPRA): წარმოადგინა პუნქტები, რომელიც იწვევდა საბჭოს წევრთა აზრთა სხვადასხვაობას. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ კორექტირებულ ვერსიაზე და უყარეს კენჭი.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, თემურ ამყოლაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ქრისტინე მიქაძე, ლია გვენეტაძე .

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 13 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი.

დადგინდა:

2020 წლის სამოქალაქო ინიციტიავების, მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში კონკურსის წესები ჩატარდეს შემდეგი დოკუმენტების მიხედვით: განაცხადის შეფასების ინსტრუქცია; მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი; ონლაინ პლატფორმა. მიეცეს ქუთაისის მერს რეკომენდაცია აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდეს 2020 წლის სამოქალაქო ინიციატივების მიღება, შეფასება და განხორციელება.
დოკუმენტები იხილეთ დანართად: 1, 2, 3.

სამოქალაქო მრჩველეთა საბჭოს მომდევნო სხდომა გაიმართება დეკემბრის პირველ დეკადაში, კონკრეტული თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობება დამატებით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე